644/3
2001

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

სამხატვრო-
საილustრაციო
ჟურნალი

7|2001

ნინო ბასილია

„აკრძალული პიესა“,

ანუ

უცენზურო სიტყვების მხატვრული კითხვა

სცენაზე ქუჩის სიტუაციაა. იტალიური ეზოს ჭიშკარი, რომელზეც აბრაა გაკრული. აბრაზე მიჯღაბნილი წარწერაა - „ნავდი“. ასევე სხვა წარწერაც - „ვამზადებ ინგლისურში და პიანინოზე - ლამარა“. ქუჩის ხმაურთან ერთად ისმის მუსიკის ხმა. ჭიშკრიდან გამოდის ახალგაზრდა, ოცდაათიოდე, წლის მამაკაცი. თითქოს ყველას ესალმება, ხელს ართმევს (*გრიმასებით*), აკეთებს იმიტაციას, რომ ქალი გადაჰყავს ქუჩაზე, სადაც მანქანები დაჰქრიან და თან ეუბნება.

- ფრთხილად, ქალბატონო, თქვენ ხომ არ გინდათ, მანქანამ გაგიტანოთ. კი, კი, გაგიშვებთ ხელს, აბა, რას ვიზამ, გადაგიყვანთ და გაგიშვებთ...

(*ცოტა ხნის შემდეგ ოდნავ გაბრაზებით*).

- კი, ბატონო, მიბრძანდით, ქალბატონო, მე სულაც არ მიფიქრია ის, რაც თქვენ იფიქრეთ, გადადით, ბატონო, გადადით, ოღონდ ფრთხილად... აი, ასე, კარგია.

(*მერე ჭიშკრისკენ გამოიხედავს*).

- ესენი აქ რას აკეთებენ?

(*მობრუნდება, ხედავს ტელეკორესპონდენტს, რომელიც ქუჩაში გამოსალაპარაკებლად და პირდაპირ ეთერში გასაშვებად მოქალაქეს ეძებს. ოპერატორი კამერას აყენებს ჭიშკრის პირდაპირ. იქვე ასისტენტიც დარბის. მერე ხელს მთავარი გმირისკენ გაიშვერს და ტელეწამყვანს ჰკითხავს*).

ასისტენტი: - წავა?

კორესპონდენტი: - წავა!

მოქალაქე: - სად წავალ, გენაცვალე, მე აქ ვცხოვრობ...

(*ოპერატორიც კამერის უკნიდან ყვირის*)

ოპერატორი: - ჰა, რას შვებით, მიდის? უშვებთ თუ არა?

ასისტენტი: - კი, კი, წავა.

მოქალაქე: - შენ, გენაცვალე, მოდი ერთი აქ.

(*ხელს გადახვევს და განზე გაიყვანს*) - ვინ სად უნდა წავიდეს? ეს ჩემი სახლია და სად მიშვებთ, თუ იცით?

კორესპონდენტი: - თქვენ რამდენიმე წუთში პირდაპირ ეთერში იქნებით, ჩვენ ვეძებთ უბრალო მოქალაქეს, რომელიც თავის ცხოვრებაზე ისაუბრებს. ასევე, ტელემაყურებლებიც დაგვირეკავენ და შესაძლებლობა გექნებათ, მათაც გაესაუბროთ, ასე, რომ თქვენ ჩვენი დღევანდელი გადაცემის მთავარი გმირი იქნებით.

მთ. გმირი: - (*ცოტა დაიბნევა*) მე? მე... პირდაპირ ეთერში?.. კი, თანახმა ვარ, წასვლით არ წავალ, მაგრამ პირდაპირ ეთერში კი გენაცვალოთ ჩემი თავი.

(*ამ დროს ასისტენტი პატარა მიკროფონის პერანგის ქვემოდან შეცურებას ცდილობს, რათა საყელოზე დაუმაგროს, გმირი უხერხულად იშმუშნება ქალის ხელის შეხებაზე, ასისტენტი პუდრის კოლოფით დარბის და ორთავეს სახეზე უსვამს*).

კორესპონდენტი: - რას ფიქრობთ, როგორი მდგომარეობაა დღეს ჩვენ ქალაქში და მოგვიყევით, თუ შეიძლება, თქვენი, როგორც ერთი რიგითი მოქალაქის ცხოვრება. რითი ცხოვრობთ? რითი სუნთქავთ?

(*ასისტენტი ჭიშკრიდან ხის სკამებს გამოიტანს, განალაგებს, თავად იქვე ჩაცუცქდება*).

მთ.გმირი - (*ჯერ მორცხვად და უხერხულად. მერე თამამდება და როლში იჭრება*) ეს რა, დღეს აინტერესებს ვინმეს? ვაააა... (*ჩაფიქრდება, შუბლს მოისრესს და დაიწყებს*) - მე რას ვფიქრობ? მე ვფიქრობ, რომ სულ გაგიჟდა ეს ხალხი. მიედ-მოედებიან რაღაცას, ბოდავენ, გოდებენ, ვიშვიშებენ. აი, თუ დააკვირდით, ადრე კიდევ სადღაც ეჩქარებოდათ. ახლა აღარც ეჩქარებათ. დადიან, დაზლაზუნებენ ქუჩებში ჩაშავებულები, შავ პიჯაკებში, ლაბადებში, კურტაკებში. ყველაფერი შავია ან მონაცრისფრო-რუხი. სახის ფერიც კი გაუნაცრისფერ-გაურუხდათ. დაპორტყიალობენ, დადიან, მანქანებს შორის დაიკლაკნებიან უდიერად, თვალებს დააბეცებენ და თითქოს განგებ უვარდებიან მანქანებს ბორბლებს ქვეშ. განგებ რატომ, იცით? აი, მე ხომ მოვკვდები, მაგრამ, რომ ვიცი, არც შენ დაგადგება კარგი დღე, უფრო გულმოქავებული მოვკვდებიო. მთელ ქვეყანაზე გამწარებულები ერთმანთზე იყრიან ჯავრს. თუნდაც მოვკვდეო, მაგრამ შენც ხომ დაიტანჯებიო, წარმოდგენაც კი ძნელია, მაგრამ ნამდვილად ასე ფიქრობენ. სადაა სამართალი? არადა, სამართალმა პური ჭამაო, ნეტავი ვინ როშა ეს სისულელე? პური კი არა, ჩემი ფეხები ჭამა.

(*ამ დროს კორესპონდენტი შუბლზე იტკიცავს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს. იგი ეკრანზე მაინც არ ჩანს და ამიტომ ნერვულობას არ მალავს).

(გმირი აგრძელებს) - სისხლი დალია სამართალმა, სისხლი! შეიძლება, პური კი ჭამა, მაგრამ ჩემი სისხლი დააყოლა ან ჩემი მეზობლის სისხლი, ან იმის ნათესავის. რა მნიშვნელობა აქვს, ხომ დააყოლა. ანდაზებს კი არა, ქვეყნებსაც შეეცვალათ მნიშვნელობა. ადრე რაღაცის რესპუბლიკა გვერქვა. რესპუბლიკა მაინც იყო. ახლა ეს რესპუბლიკა ამოშალეს და ის რაღაც დატოვეს მხოლოდ. იმ რაღაცას კიდევ სახელი შეუცვალეს, საკრებულო დაარქვეს და დავრჩით ასე უსახელოდ, უთავმოყვარეოდ და უთავოდ შეკრებილები - ერთი თავმჯდომარითა და ასი თანათავმჯდომარით. რა სინდისი გაგვიწყრა. თუმცა არა, გაგვიწყრა კი არა, გაგვიწყდა. გაწყრომით კი ღმერთი გაგვიწყრაო, ვამბობთ. მაგრამ ამას გაწყრომა არ ჰქვია. ღმერთი კი არ გაგვიწყრა, დაიხურა ქუდი და სულ ამოიკვეთა ფეხი ამ საკრებულოდან. კიდევ კარგი, თავმჯდომარეს ეყო ძალა და, ღმერთი არ ვარ მეო, წაიბურტყუნა, როცა საცოდავი ხალხი ღმერთის ძებნაში სამმეტრიან ზღუდეებსა და გალავნებს მიაწყდა. საცოდავ თავმჯდომარეს და თანათავმჯდომარეს აჯანყება ეგონათ და, არიქა, ახლა ჩაგვქოლავს ეს ხალხიო, აცახცახდნენ. მაგრამ, როცა გაიგეს ღმერთის საძებნელად გამოსულიყვნენ, აი, მაშინ ეყოთ ნამუსი და უთხრეს: მართალია, ჩვენ ღმერთები არა ვართ, მაგრამ, თუ გინდათ, რამდენიმე ეკლესიას აგიშენებთ, იქნებ როგორმე მოვიტყუოთ ეს თქვენი ღმერთი, დავიბრუნოთ და თქვენც დაგაშოშმინოთო.

ღმერთი მოვიტყუოთო, ხალხო, გაგიგიათ ასეთი რამ? კიდევ კარგი, ეკლესიებს სატყუარს ფორმა არ მისცეს. მერე ერთი-ორმა ქვა ესროლა ერთი-ორ მშენებელს და იმათ იწყინეს - ამ ხალხს გინდ წინ უქენი და გინდ უკანო. იმათაც, თქვენ გინდ აშენეთ, გინდ არაო, მაინც ღორები ხართო და, ყველას რომ ეგონა, ახლა გაიმართება ხელჩართული ბრძოლა და დახოცავენ ერთმანეთსო, ერთი-ორი გადააფურთხ-გადმოაფურთხეს ერთმანეთისკენ და დაიშალნენ. ამ დავიდარაბაში ერთმა ტუტუცმა მაინც გაბედა და თქვა: ღმერთი მე ვარ და, თქვე სულელებო, რად გინდათ, ეკლესიაში სალოცავად რომ მიდიხართ, აგერ, ამხელა სახლი ავაშენე, აქ მოდით და ილოცეთო. ჰო, ასე თქვა. ის, ვინც ღმერთობა დაიბრალა, სახალხო ექიმი იყო და ერთი-ორი მელექსე-მეშაირე მართლაც ჰყავდა ფეხზე წამოყენებული. მერე იმ მეშაირემ შაირი დაუწერა - ღმერთი ხარო და იმის მერე გაფუჭდა კაცი. აგერ, მოდით ყველა აქ და ამ ჩემი სახლის კედლებზე დაანთეთ სანთლები, მკურნალობის ფულს რომ გადაიხდით, იმის მერეო. გეცინებათ, ხომ?

(უყურებს კორესპონდენტს, რომელიც იცინის)

კორესპონდენტი: - უკაცრავად, არ მინდა, თემას გადავუხვიოთ. თუ შეიძლება, გვითხარით, რატომ ხდება ეს ყველაფერი, როგორც თქვენ ამბობთ, გადაფურთხებ-გადმოფურთხებები (*ცოტა უხერხულად იმეორებს და ენა ებმება*), როგორც თქვენ ამბობთ, ასევე იმ რაღაცების ქნა (*ახველებს, უჭირს გამოთქმა*), გინდ წინო, გინდ უკანო და ასე შემდეგ?

გმირი: - რატომ ხდება, იცით? საკრებულოდ გადააკეთეს ქვეყანა და მმართველის ნაცვლად ყრუ თავმჯდომარე რომ დააყენეს, იმიტომ. საკრებულოც იმიტომ დაარქვეს, მსოფლიოს ქვეყნების ლიგამ, არ ჯდებითო სახელმწიფოს გაგების საერთაშორისო პარამეტრებშიო. მერე, ადგილობრივმა სტატისტიკურმა ორგანოებმა მოსახლეობის აღწერა რომ ჩაატარეს, იმდენი ორფეხა პირუტყვი დაითვალეს, ნოტა გაუშანშალეს, უღრმესი მადლობა, ფერმა რომ არ დაგვარქვით, საკრებულოც დიდი პატივია ჩვენთვისო. თუმცა ასე თუ აშიმშილეს, მარტო ოთხფეხა პირუტყვები დარჩებათ. ე, მაშინ დაენძრევათ და თავმჯდომარესაც ფერმის დირექტორობამდე მოუწევს დაქვეითება.

(*ოპერატორი ასისტენტს გამოხედავს და ანიშნებს, რა ვქნაო. ისიც ჩაიქნევს ხელს და ანიშნებს, გააგრძელოს*)

გმირი: - ასე იქვეითებენ, იქვეითებენ და თავადაც ჩაქვესკნელ-ჩაქვეითდებიან. და რა მერე? გვიხაროდენ? და ვესროლოთ ერთმანეთს ტიტები?.. რა და, ვაი ჩვენ პატრონს მერე.

(*ასისტენტი ანიშნებს, რომ ტელემაყურებლის ზარია. კორესპონდენტი აწყვეტინებს*),

კორესპონდენტი: უკაცრავად, მაყურებელი გირეკავთ, შეკითხვის დასმა უნდა. მოვუსმინოთ.

(*ისმის ხმა*).

ხმა: - ბატონო მოქალაქევ, იცით, რა მაინტერესებს? აი, თქვენ თუ გიტირიათ ამ ბოლო დროს ან რაზე გეტირებათ?

გმირი: - რაზე მეტირება, თუ იცით, სულ? ამერიკულ ფილმებში ამერიკულ დროშას რომ აფარებენ კუბოზე, მკვდარიც კი ამაყი მგონია მაშინ. რა ლამაზია ის დროშა! და როგორ ფრთხილად დაკეცავენ მერე. და კუბოც რა ლამაზი გამოჩნდება. პალიროვკიანი. ავეჯივით მოჩუქურთმებული. ცოტა სხვანაირი ფორმა რომ ჰქონდეს, სახლში დაიდგამდა კაცი. მერე იმ დაკეცილ დროშას მკვდრის პატრონს რომ ჩაახუტებენ გულში. და რაზე მეტირება თუ იცით? ის დროშა რომ არის იმ პროცესზე მთავარი. განსაკუთრებით კუბოზე გადაფარებული დროშის კეცვის მომენტი მაგიჟებს. დედაა, რა ლამაზად მოძრაობენ ჯარისკაცები და რა ლამაზად აცვია ქვრივს!.. სათვალე, შლაპა,მოკლე ქვედაბოლო... აბა, მკითხეთ თუ არ ჩავწვებოდი იმ გაპრიალებულ კუბოში და არ დავიფენდი სახელმწიფო დროშას გულზე. ესაა ცხოვრება? (*კივის*) უცხოელი მკვდრების მაგალითზე საკუთარი სიკვდილი მოგვანატრეს. სხვისი მკვდრების მშურს! დროშის ჩახუტება მშურს. არადა, რა არის, სამმეტრიანი ნაჭერია სულ, მეტრანახევარიც სიგანაზე, მაგრამ იმ დროშის პატრონს სახელმწიფო ჰქვია. ჩვენ? რა გვქვია? ჩვენ არც ქვეყანა, არც სახელმწიფო. საპირუტყვო! საკრედიტო! საგრანტო! გრანტის მომგონს მოუკვდა პატრონი. კვერცხებში მახათს იყრიან და ისე მოსდით ფული (*ხელით აკეთებს მახათით კერვის იმიტაციას*). აბა, გაუშვან კვერცხებს ხელი და საქმეში გაანხრიონ. მკვდარზე გადასაფარებელი დროშაც გვექნებოდა და სახელმწიფოც.

ვინ გვიქნა ეს ყველაფერი? ახლა ნუ დააბრალებთ მხოლოდ რუსებს. კი, ბატონო, ბევრი სცოდეს, ძალიან ბევრი, უჰ, რომ მახსენდება... მაგათი დედა კი ვატირე...

(*კორესპონდენტი ხელით ანიშნებს და იმანჭება, რომ ამ თემაზე არ ილაპარაკოს, მაგრამ გმირიც ასევე მიმიკით ანიშნებს, ისეთს არაფერს ვიტყვიო და მიამიტურად აგრძელებს*).

გმირი: - აი, ბებიაჩემი კლარა, ასეთი ინტელიგენტი, განათლებული, სათნო, მორწმუნე და ისიც კი გააგიჟეს, ისიც კი ააყეფეს. მეზობლის ბავშვები თამაშობდნენ ეზოში. იმ ხუთი წლის ილონას მაინცდამაინც სულ ალონას ეძახდა. მერე ერთმა პატარა ბიჭმა სათამაშო თოფი დაუმიზნა და მოკვდი ახლა, კლარა ბებო, გესროლე და მოკვდიო. ბებიაჩემმა რა უთხრა, თუ იცით? მე რატომ მესვრი, აგერაა ალონა, რუსია და იმას ესროლეო. ჰოდა, ატყდა ერთი ამბავი: (*თან თითქოს*

ისვრის და ამ დროს ასისტენტს უმიზნებს გაშვერილ თითს. ასისტენტი მკლავს სახეზე იფარებს) ბახ, ბახ, ალონა, მკვდარი ხარ, ალონა, დაწექი მიწაზე და არ გნახო ფეხზე ამდგარიო. ბახ, ბახ, მოკვდი, რუსო, მოკვდიო. ალონა ტირილისაგან ისე გაიჭაჭა, კინაღამ მართლა შემოაკვდათ მშობლებს ხელში. იმ ბიჭს მამამისმა რომ ჰკითხა, საიდან მოგვიდა თავში მაინცდამაინც ილონას მოკვლაო, კლარა ბებომ მირჩიაო. ჰოდა, ჩამოვარდა ეზოში ნაციონალური შუღლი და მტრობა. ბებიაჩემმა, მე რას მერჩით, იმას მიხედეთ, თურქი მესხები რომ ჩამოყავთ და, შეიძლება, თითო-თითო ყველას შემოგისახლონ ოჯახშიო. შემომისახლონ, რა, ბლენა? დაიჯერა ქურთმა ნიზამამ და მეზობლების ჯინაზე ათი წლის მანძილზე შეგროვილ სამას დოლარად ნაყიდი, ორი წელი უძრავად მდგარი ჟანგიანი „ზაპორპჟეცის“ კარი გამოაღო, საიდანაც შიგ ჩამწყდეულ მონადირის ჯიშის ლეკვს უშვებს ხოლმე მოსაშარდად. ტარება ნიზამამ არ იცოდა, მაგრამ მანქანის დილიხორი ბავშვობიდან ჰქონდა და ახლა აისრულა, სიბერეში. ჯერ გულზე გასკდა მთელი ეზო. რა ჭირად უნდოდა ეს მანქანა, ეგ ფული ბავშვებისთვის მაინც მოეხმარაო, სახლში საწოლები მაინც გამოეცვალაო. მერე, მანქანას ჯერ ერთი საბურავი რომ დაეშვა უძრავ მდგომარეობაში, მერე ორი, ოთხი და რომ დაჯდა დისკებზე, კარი რომ მოეჟანგა და ჯართად იქცა, შეეცოდათ მეზობლებს: საწყალია, თანაც გიჟიცო და გაანებეს თავი. მერაბას გარდა ყველამ გაანება. ნავთით, სიგარეტით და არყით ვაჭრობდა ნიზამა, დღენიადაგ ქუჩაში იდგა, გზისპირას. შავ ჭიშკარსაც დიდი აბრა მიაკრა „ნავდი“. მერაბა ჰყავდა შეჩენილი. დათვრებოდა და ნისიად ართმევდა ყველაფერს. ამ აბრას იყო მაინც გადაკიდებული - ან ქართული ისწავლე, ან შენ გაგაკრავ აბრის ნაცვლადო. ერთხელაც რომ ამოუვიდა ნიზამას ყელში მერაბას ვალები, რომ შეახსენა, ძმაო, გადასახდელი გაქვსო. მერაბამ სულ ფანჯრები და გვერდები დაულეწა ვაჭარ ქურთს. სინათლე მაშინაც მიდი-მოდიოდა. ჰოდა, სიბნელეში ცემა რომ მოათავა, შუქიც მოვიდა. როცა ნიზამას დასიებულ-დასისხლიანებულ თავყბას შეხედა, ბრძნულად ასწია საჩვენებელი თითი და წარმოთქვა: სინათლე სიმართლეა!

(*კორესპონდენტი ერთვება, უხერხულად ილიმება და, ეტყობა, რაღაც ვერ გაიგო*).

კორესპონდენტი: - მაპატიეთ, იმიტომ სცემდა, რომ შუქი არ იყო თუ სიმართლეს რომ ამბობდა ბატონი ნიზამა? რაღაც ვერ გავიგე (*ამ დროს მიკროფონი გაუვარდება ხელიდან, დაიხრება და აიღებს*).

გმირი: - გენაცვალე, თქვენ რომელ უბანში ცხოვრობთ? (*ცოტა აგდებულად ეკითხება*).

კორესპონდენტი: - აქედან შორს.

გმირი: - ხოდა, აქ, გენაცვალე, ყველა ერთმანეთს პატივსა ვცემთ, მაგრამ ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს. შენ გგონია, მერაბას ნიზამა არ უყვარს? უყვარს!

კორესპონდენტი: - და, რომ უყვარს, იმიტომ სცემს?

გმირი: - არა. იცი, რას ეუბნება ხოლმე? ბიჭო, იმიტომ კი არა გცემ ქურთი რომ ხარ. იმიტომ, რომ ჟმოტი ხარ, ჟმოტი. ნიზამაც - შენ კიდევ წადი და შენ ქართველებს გამოართვი ნისიადო. ხომ გყავს თავგასიებული ბიძაშვილი საკრებულოს წევრიო. არადა, მართლა ჰყავდა მერაბას ალალი ბიძაშვილი იქ მომჯდარი, ანუ თავმჯდომარის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე იყო, ნორმალური ქვეყნის პირობებში სენატორი ან პარლამენტარი რომ ერქმეოდა, მაგრამ ვინ მოგცა ნორმალური პირობები. მერაბა და მისი ბიძაშვილი ბავშვობაში ერთად იზრდებოდნენ და სულ მიზანში ფურთხებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ბიძაშვილმა მერაბასგან განსხვავებით ქე გამოიყენა მიზანში ფურთხების ხელოვნება. თავებიც ბავშვობაში ერთნაირად ნორმალური და პროპორციული ჰქონდათ მაშინ. მაგრამ, დაიწყო თუ არა ქვეყანამ დაქვეითებ-დეგრადირებ-დადამპლება და ჩამოვიდა ლამის ფერმის სტატუსამდე, მერაბას ბიძაშვილს და კიდევ რამდენიმე ვიღაცის რამდენიმე ბიძაშვილ-მამიდაშვილ-სიმამრ-სიძე-სიდედრ-საყვარელ-სასიკვდილეს იმხელა მადა და ქონება გაუჩნდათ, რომ ერთ წელიწადში ყველას ერთნაირად შეეცვალა თავის ფორმა: ყურიდან შუბლის ჩათვლით კინკრიხომდე წაუგრძელდათ, კინკრიხოდან კეფამდე - გამოებერათ, კეფიდან ხერხემლის პირველ მალამდე - შეევსოთ და მერე როგორ შეევსოთ. თითქოს კისერზე ნიზამას ზაპოროჟეცის დუტი ბორბლები ჩამოეცვათ და შიგ შპრიცით კამეჩის კისრიდან ამოღებული ქონი შეეშხაპუნებინოთო. ცალი თვალი ისედაც გაურბოდა მერაბას ბიძაშვილს, მაგრამ ახლა სულ მთლად გვერდზე გაქცეოდა. ადრე, ბავშვობაში, ასე რომ გამოექცეოდა თვალი, ერთს იმ მხარეს დღლიზავდა მუშტს მერაბა და თვალი ისევ თავის ადგილას დგებოდა. ახლა, ჩააფეთებდა კი არა, ვინ მიეკარებოდა. ჰოდა, ჰქონდა კიდეც იმ ბიძაშვილს ცალი თვალი საფეთქელზე გასული. მერაბაც მალე დაივიწყა, ტელეფონთან არ მიდიოდა, მანქანის შუშები ისე ჩააბნელა, კატაფალკას დაამსგავსა. იჯდა ასე დაბრმავებულ-დაყრუებული შიგ და ჭამდა ნიზამას, მერაბას, ბებიაჩემ კლარას და ალონასთვის გამოყოფილ დახმარებებს (*და ხელს ჭიშკრისკენ იშვერს*), ეს ყველაფერი კარგად იცოდა მერაბამ და ამაზე იყო, გული რომ ტკიოდა. აქედან იყო, სმა რომ დაიწყო. ამ თემაზე არავინ სიტყვას არ ეუბნებოდა. რცხვენოდა კაცს. მაგრამ, რომ ამოუყვანა ნიზამას ცემით ყელში სული, ამოთქვა იმ კაცმაც მერაბას დარდი. ამან კიდევ:

- შე ქურთო, შენ, რომ ჩამოთრეულხარ და დაგიყრია ეს ბავშვები, რომ ზიხარ ამ სიღატაკეში და აშიმშილებ შენსავით დაგვაჯულ ცოლ-შვილს, რომ დამდგარხან ქუჩაში, წვიმაში, ქარში და რომ დაათრევ ნავდის ბიდონებს, რომ გიყიდია და დაგილპია ეს მანქანა, ჩაყარე შიგ მაგ შენი ტილიანი ცოლ-შვილი და წაეთრიე შენ ქვეყანაში! იქ ჭამე და იქ გაძეხი თუ კაცი ხარ!

ისე, ნიზამამაც კარგად უთხრა:

ჯერ ერთი, მერაბას შემოვევლეო, ქურთმა ქართული როგორ უნდა გასაწვლო. გაძეხი რა ქართული სიტყვაა, უნდა თქვა - დანაყრდენი, მეორეც - რა დიდ ადგილს მე ვიკავებ, სულ თექვსმეტ კვადრატულ მეტრში ვცხოვრობთ ოთხი სული და ეს მანქანაც, ჰა, ორ კვადრატულ მინას იჭერს ეზოში, ამ ეზოში გნახე დამარხული. რად ვერ აგიტანივარ. ჩემი რა ბრალია, ყველას მისცეს თავისი მიწა, ებრაელებსაც მისცეს, პალესტინელებმაც წაიღეს. ჩვენ - ვერა. სად წავიდე, რომ წავიდე? მარტო ქართული ვიცი, ვინ მიმიღებს ამ სიბერეში ამ ჩემი მახინჯი ცოლითა და შვილებით, რომელ ქვეყანას რაში ვჭირდები. აქ კიდევ, ქართულად რომ პასუხს მცემენ, თავი კაცი მგონია და ესეც წამართვა გინდა?! ვინა ხარ, კაცი არა ხარ? გამანებე თავი! ხომ ხედავ, საკუთარი ბიძაშვილი რაებს გიკეთებს და ვაფშემც, შენივე ქართველები რას გიკეთებენ, ცოცხლად გჭამენ და შენივე ხორცით სუქდებიან, სკდებიან, კანში ვერ ეტევიან და კიდე მე მცემ? წადი და, თუ ბიჭი ხარ, იმათ სცემე!

მერაბა იმ საღამოს ისევ ნიზამასგან ნისიად აღებული არყით გამოთვრა და საკუთარ ბიძაშვილს სა-

ხლში მიაკითხა.

იმისმა ცოლმა (*დასცინის გაპრანჭული ქალის ხმით, მანჭვა-გრეხით და თავდ ახმოვანებს თითოეულ მათვანს*) - ფუუჰ, რა ალკოჰოლის სუნით ყარხარ, აქ რა გინდა? ჩემი ქმარი შინ არ არისო.

„მერაბა“: - არ არის და დავუცდი. ხომ მოვა ვაუბატონი, შენ კიდევ სუფრა გამიშალეო!

„ცოლი“: - სუფრა არა, ტოროლა! (*ისევ გაპრანჭული ქალის ხმით*).

„მერაბა“: - წადი, შე კახპა, შენა, როდის მერე აბლატავდი!

„ცოლი“: - როგორ მიბედავ, შე ლოთო!

(*თურმე ის ბიძაშვილი კარს უკან არ იმალება? შემოვიდა და მერაბას ცალყბად მიესალმა*) - ვა, სად დაიკარგე, ტო!

„მერაბა“: _ ტო კი არა, სკამზე დაეგდე, თორემ ისეთს დაგარტყამ, თავსაც დაკარგავ, შენ ნაბიჭვარო. შენ გამო ხალხში თავს ვერ ვყოფ, მრცხვენია, გაიგე? იცი, შენ სირცხვილი რას ნიშნავს? რომ გაყეყეჩებულხარ, დაგავიწყდა, ვინ იყავი? წერა-კითხვას მე გასწავლიდი. არადა, ჩემი ნასწავლი წერა-კითხვით ფული როგორ იშოვნე, შე კრეტინო, შენა? არ უნდა იკითხო, იქნებ სხვასაც უჭირს?

„ბიძაშვილი:“ - სულ შენთვის და შენისთანებისთვის ვიშოვე ფული, აი! ბავშვობაში ლამის საკუთარი რწყილები მეჭამა, არ გახსოვს? ძლივს რაღაცა მეღირსა და ახლა ვიფიქრო სხვაზე? ახლა სხვამ ჭამოს რწყილები. სხვები სულ აგერ მკიდია, გაიგე? აი, ვინ არიან ჩემი სიცოცხლეები, მოდით, მამა, შემოგევლოთ, ჩემთან. ყველაფერი თქვენთვის მინდა, ჩემი მარიკასთვის და მამუკელასთვის. აბა, მერაბა ძიას გამარჯობა უთხარით. მარიკუშა, აჩვენე ბიძიას შენი საჩუქრები.

(*თავად გიმრი სცენაზე სხვადასხვა სკამზე ჯდება მონაცვლეობით, რათა თითოეული განასახიეროს, კვლავ იცვლის ხმას და ინტონაციას*).

„ბავშვი გოგო“: - აი, მამამ რა კუკლიები მიყიდა, მერაბა ძია.

„ცოლი“: - კუკლია კი არა, კუკლა, შვილო.

„ბიძაშვილი“: - ამას რა დედა ჰყავს, იცი? სტუდენტებს ქართულს ასწავლის.

„მერაბა“: - იმიტომაა ჩვენი საქმე კარგად, ჯერ სად ხართ, ახლა პედარასტებსაც რომ გამოგიცხობენ, მერე ნახავთ ტრაკის ქნევას.

„ბიძაშვილი“: - გაიყვანე, ქალო, ბავშვები!

„ბავშვი ბიჭი“: - (დორბლის წმენდით) მამა, ხომ დამპრიდი, ბოლო მოდელის „ბეემვეს“ გიყიდიო, ხომ დამპრიდი...

„ბიძაშვილი“: - ჯერ სკოლა დაამთავრე.

„ბავშვი ბიჭი“: - მიყიდე რა, მამი, მიყიდე რა, ვერ ვითმენ, მიყიდე რა.

„მერაბა“: - ვა, ეს ვინები გულაობენ, ტო! მე პირველი სკოლა დავამთავრე, ჩემმა ცოლმა - ოცდამესამე, დედაჩემმა - ოცდამესამე, მამაჩემმა - პირველი. ეგეთი კარნოი თბილისელები ვართ, სტოსი ჩვენ უნდა მიგვყავდეს და ეს ვინები გულაობენ, ტო!

„ბიძაშვილი“: - სტოსი ნიზამასთან წაიყვანე, მერაბას ვენაცვალე, ინტერნაციონალურ ეზოში და ნუ დადიხარ ჩემთან სამათხოვროდ. ჰა შენ ეს ფული და კიდევ ერთი ბოთლი არაყი ხეთქე ჩემ სახელზე.

მერაბამ ალალი ბიძაშვილი ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანა და სამი წლის პატიმრობაც დაირტყა. ახლა იქ არის, მკვლელებში, ქურდებში, ბაცაცებში და ხანდახან პოლიტიკურებშიც გაისეირნებს ხოლმე, ისე, აინტერესებს, რა ხდება: რა წაგვართვეს ან რის წართმევას გვიპირებენ. ჩვენ ხომ ალალი ხალხი ვართ. ოღონდ რამეზე თქვით, მოგვეციო და, ა - ბატონო, კი - ბატონო ან როგორ გნებავთ, ბატონო - ზემოდან, ქვემოდან თუ რაკომ, იქნება კისერზე წურბლებით, ოღონდაც თქვით... გარეთ არავის არ ეკონტაქტება, ერთი-ორი ლექსი დაწერა, ისიც ბიძაშვილს გაუგზავნა.

კორესპონდენტი: (*გახარებული, რომ პოეზიას შეეხნენ*) - ვაიმე, რა კარგია ლექსების წერა. ეს ხომ ამაღლებს ადამიანს. ვერ წაგვიკითხავთ ბატონი მერაბას რომელიმე ლექსს?

გმირი: - რატომაც არა, აი, ერთი ასე იყო (*და კითხულობს დამტვრეული რუსულით, საშინელი აქცენტით, როგორც მერაბამ დაწერა ისე*):

Прадавали что папало,
Забилари что давали.
დაბმული ვარ, Сижу в плене,
გამოვალ და, როგორც გვწველეთ,
თქვენ მოგიხნავთ მინდორ-ველებს.

წერილებს ნიზამას წერს ხოლმე. იმასაც ორ თვეში ერთხელ პერედაჩები დააქვს - სიგარეტები და გრელკით არაყი.

ყველა რომ ნელ-ნელა გაგიჟდა ქვეყანაზე, მეც ავიღე თავზე ხელი. როგორ და... მეხერხება, ბატონო, ცეკვა, სიმღერა, ორატორობა. იუმორი მაქვს ისეთი და ენა იმისთანა გაფუჭებული, სულ იატაკზე ვაწვენ ხარხარისგან ყველას. დავყვები ამ მდიდარ-მდიდარ ხალხს და ვართობ, ხან წვეულებაზე, ხან მოგზაურობაში, ხან ქალებში, ხან აბანოში. არა უშავს, კარგად მასაჩუქრებენ. კი იტყვით ახლა თქვენ, მასხარა ხარო, თავს იმდაბლებო, სინდისი როგორ არ გქენჯნისო. კი მქენჯნის, როგორ არ მქენჯნის, მაგრამ, რითი ვიმშვიდებ თავს, თუ იცით? ვის ფულს მაძლევენ? ისევ ჩემსას, დედაჩემის და ბებიაჩემ კლარას თვეობით გაყინულ პენსიებს, ოღონდ ერთბაშად და პროცენტებით. მაგრამ გაძლება უნდა თურმე ყველაფერს. არ იყო მასხარაობა ჩემი საქმე. ვერ გავუძელი. მაგათ უყურა ჩემმა მტერმა ყოველდღე, თანაც სუფრაზე. და, სანამ შემომაკვდებოდა ერთი-ორი, მანამდე პიესა დავწერე, ერთმოქმედებიანი, მონო, დავიზეპირე, დავიქირავე დარბაზი და ყველა დავპატიჟე საკუთარ სპექტაკლზე. ამდენი კი არ მილაპარაკია. (*ტონუსჩამქრალმა*), ვინ დამაცალა. მჟეჟეს იქვე სცენაზე, შუა გაგანია სპექტაკლის დროს. ისე, მგონი, ტექსტი ვერ გაიგეს ბოლომდე.

კორესპონდენტი: - შეგიძლიათ, თქვათ? თქვენ საქართველო გიყურებთ ახლა, არ გეშინიათ?

გმირი: - (*ომახიანად*) არა!

(*და აგრძელებს, სადაც უხამსი სიტყვებია, ისმის მათი ჩამხშობი სიგნალი პიიი, რასაც ტელევიზიით იყენებენ ხოლმე*) ტექსტი კი ასეთი იყო: თქვენი დედაც კი... თქვენი ახვარი... თქვენი კახპა ცოლებისა და შვილების... თქვე კარგ...ო, თქვე ჩემის...ო, თქვე ხვლიკებო, თქვე ჩემის მონჯღრეულებო, თქვე დედიშობილებო... თქვენი... (*გრძელი პიიი და პაუზა*).

(*ამასობაში ოპერატორი გაშტერებული უყურებს გმირს, კორესპონდენტს თავი ხელებში აქვს ჩარგული, ასისტენტს გული მისდის და იატაკზე ენარცხება, გმირი კი ცოტა ხნის შემდეგ მშვიდად აგრძელებს*).

გმირი: - ჩამქოლეს. (*პაუზა*) სეზონი დროებით დახურეს სცენაზე უცენზურო სიტყვებისა და ხმამაღლა, მხატვრულად კითხვის გამო. პიესა კი აკრძალეს. იმის მერე სახელი შევუცვალე და დავარქვი - აკრძალული პიესა, რითაც უფრო დავაინტრიგე მაყურებელი. დავბეჭდე და წიგნად გამოვეცი. წარმოიდგინეთ, ორმოცგვერდიანი წიგნი, რომლის ყველა გვერდზე სხვადასხვა ბრუნვაში, ენებასა და გარყვნილებაში, მხოლოდ ზრდილობიან თქვენობით ფორმაში ერთი და იგივე ზმნა

ტრიალებდა.

მაზა ფაკა. (*გამოთქვამს ინგლისური აქცენტით*)

(*კორესპონდენტი ნაძალადევი ღიმილით აწყვეტინებს*)

კორესპონდენტი: - უკაცრავად, გაგაწყვეტინებთ, ჩვენს ეთერში რეკლამის დროა.

(*როგორც კი ოპერატორი ანიშნებს, რომ რეკლამა წავიდა, გამწარებული კორესპონდენტი მიუბრუნდება გმირს და, ხელებით, სახის გამომეტყველებით ჩანს, რომ ეჩხუბება. ჩხუბში ერთვება ასისტენტიც, მაგრამ მათი ხმა არ ისმის, რადგან რეკლამაა ჩართული და ვიღაც ხმამაღლა გაჰყვირის სარეკლამო ტექსტს*).

ხმა: ითამაშეთ ლატარეა - „ვის უყვარს თავისი სამშობლო“ და თქვენ მოიგებთ შიმშილის დასაცხრომ ტაბლეტებს, ტვინების გამოსარეცხ ოყნებს, ვიდეოკასეტებს კაციჭამიებისა და კანიბალების ცხოვრებაზე, შესანიშნავ წიგნს - „როგორ ვერ გახდეთ მილიონერი“ და ყველაზე საუკეთესო დიეტურ საშუალებას - გამოხდილ წყალს პლასტმასის ბოთლებში, რომელიც სიცოცხლეს გაგიხანგრძლივებთ. ითამაშეთ ლატარეა და მოიგეთ ჩვენი პრიზები.

(*როგორც დამთავრდება სარეკლამო ტექსტი, ოპერატორი ისევ ანიშნებს კორესპონდენტს და ისიც გაღიმებული მოჩვენებითი კეთილმოსურნეობით ეუბნება გმირს*)

კორესპონდენტი: - და რა დაგემართათ სეზონის დახურვის შემდეგ?

გმირი: - ასე გავხდი პოპულარული და მერე, რაც გინდა, დამებეჭდა, თუნდაც ყაყა, ყველაფერი იყიდებოდა. ტყუილად კი არ ვამბობ, სულ გაგიჟდა ეს ხალხი-თქო. შემდეგ ერთმა ჟურნალისტმა გოგომ მინასთან გამასწორა ჩემი შემოქმედებიანად. ასე როგორ შეიძლება, გინების ღირსნი კი არიან, მაგრამ ხელოვნებას ეცით პატივიო, მწერლობასო.

ვიფიქრე, ვინ არის ეს ჭკვიანი გოგო-თქო და შეხვედრა ვთხოვე. მოვიდა... მაგრამ რა მოვიდა. წერწეტა, ტანადი, ტატანი, თქვენი არ მეშინიაო, ხელსაც ვერ მახლებთო, სტატიისათვის ბოდიშს არ მოვიხდიო და არც გავიხდიო. ღმერთო, რა თვალები ჰქონდა, რა სინაზე გამოკრთოდა, რა მიხრა-მოხრა. ხშირად გთხოვდნენ გახდას-მეთქი? კიო. მაინც-მაინც-მეთქი? ყველა ჩინოვნიკი თავის კაბინეტშიო. როგორ კაბინეტში, მაგიდაზე-მეთქი? როგორ გეკადრებათ, ბატონო, ყველა ჩინოვნიკს მოსასვენებელი ოთახი აქვს. ერთს საავადმყოფოს პრუქინებიანი ლოგინიც კი ედგა, თეთრეულზე ლურჯი მელნით პალატის ნომერი ერტყაო.

- გარეწარი, - აღვშფოთდი, - ფული ენანებოდა? ვერ იყიდა ნორმალური საწოლი?

(*ისევ მონაცვლეობით ჯდება სკამებზე და ქალს ასახიერებს*).

„ქალი“: - დაწყნარდით, ის ჩინოვნიკი ახლა ქალაქში აღარ არის.

გმირი: - თქვენ ხომ არაფერი გაკადრათ?

„ქალი“: - რას ამბობთ, იმ დღეს კრიტიკული დღეების ციკლი მქონდა და ყველაფერი ავუხსენი.

გმირი: - კრიტიკული დღეები გქონდა და იმიტომ არ... ჰმ, ჰმ (*ხველებით ლამის იხრჩობა*).

„ქალი“: - დიახ. საკრებულოზე ვწერდი კრიტიკული წერილების ციკლს და ავუხსენი, რომ, ზედმეტი არ გაებედა, თორემ ყველაფერს პრესის საშუალებით ვანანებდი.

გმირი: - ااااا... (*ამოისუნთქვას და ლირიულად განაგრძობს ჩვეულ პოზაში*).

ჩვენ ერთი ნახვით შეგვიყვარდა ერთმანეთი. და მერე, როცა მას აღარ ჰქონდა კრიტიკული დღეები... წერილების წერის... ერთად ვიწექით ლოგინში და ვოცნებობდით.

(*თავად ახმოვანებს*)

- რა გსურს ყველაზე მეტად, ძვირფასო? - მეკითხებოდა იგი.

მეც გულახდილად ვპასუხობდი.

- მსურს, დავეცე სამშობლოს გარეწრებისგან განთავისუფლების ბრძოლაში. ჩამაწვინონ პრიალა კუბოში, დამაფარონ სახელმწიფო დროშა, მერე ლამაზად დაკეცონ და შენ, მსოფლიოში ულამაზეს ქვრივს, ლამაზ მკერდში ჩაგახუტონ.

მან დამსახურებისამებრ გამცა პასუხი:

- შენ შიგ ხომ არა გაქვს, შე იდიოტო, შენა!

და წავიდა. აჰ, წავიდეს. ბოლო დროს მაინც აღარ მომწონდა უკვე. შესუქდა და ფეხებზე დუნდულას ქვემოთ ცელულიდები გაუჩნდა. სულაც არ ვნანობ, თან გინება იცოდა. მაინც რა კარგად უთქვამს ჭკვიან ხალხს - ცუდ საზოგადოებაში ყოფნას მარტო ყოფნა ჯობიაო.

იცით, რატომღაც სამშობლოსადმი თავდადებასა და სიყვარულში ვერავინ მიგებდა. ერთხელ ჩემი მეგობრის ცოლმა ბრტყელ, მრგვალ ქოთანში აბიბინებული კოინდარი მაჩვენა, სამი წელი ვახარებდიო. ბალახი ისეთი მწვანე და ქორფა იყო, ვეღარ მოვითმინე, გავიხადე ფეხსაცმელი, წინდა, გახურებული ფეხისგული გრილ ფლორაზე დავდე და გულიდან ამოხეთქილი სტრიქონები წარმოვთქვი: ცვრიან ბალახზე არ გაიარო , რაა მამული!

იმან კიდევ ვერ გამიგო და უშვერი სიტყვებით გამლანძღა: - სირო, ფეხი აიღე ამ ძლივს გახარებული კოინდრიდანო.

არა, ამ ხალხს მამულის შეგრძნება დაკარგული აქვს. დაკარგული კი არა აქვთ, დაუკარგეს. აი, იმათ დააკარგინეს - მერაბას ბიძაშვილებმა და ვიღაც-ვიღაცების დეიდაშვილ-სიდედრ-სიმამრ-სიძეებმა. ხალხს პირდაპირ ჯერ ვერ ეუბნებიან, მაგრამ სულ ლოყაში უტყლაშუნებენ: ეი, ვირიშვილებო, გაიგეთ, რომ მონები ხართ, თავს ნუ წამოყოფთ და ნურც ნურაფერს მოიმოქმედებთ, რადგან მონამ თავისი ადგილი უნდა იცოდესო. ეგდეთ თქვენს სოროებში და, რასაც გადმოგიგდებთ, იმისიც მადლობელი იყავითო. ვახ, დედაჩემსა, ყოვებო! რა დროს ჩამიგდეს ხელში, დამაჩლუნგეს და დამჟანგეს ნიზამას „ზაპოროჟეცივით“. კაცობა წამართვეს, ოცნება დამაკარგინეს. აბა, კუბო და დასაფლავება ოცნებაა? ეს რა მიქნეს! და მერე ვინ? ჩინგიზ ხანმა და ჯალალედინმა კი არა, ამ ჩვენმა ნაბიჭვრებმა, ამათ! და რა მოიტანა ყველაფერმა ამან?

(*აიღებს კენჭს და მონოტონურად აკაკუნებს ჭიშკარზე*).

თუ გამოიცნობთ, რას ვშვები ახლა მე? (*ისევ განაგრძობს კაკუნს*) ოღონდ ახლა არ მითხრათ, აკაკუნებთო (*ისინი თავს შეშინებული უქნევენ, აქაოდა, როგორ გავბედავთ თქვენთან შეწინააღმდეგებასო*). ვისვრი, ბატონო, ვისვრი! და სანგარშიც ვწევარ.

კორესპონდენტი: - თქვენ ვერ იწვებით სანგარში, ვინაიდან ჩვენ ახლა ქუჩაში ვდგავართ და პირდაპირ ეთერში გავდივართ.

გმირი: - ქუჩაა ეს? ااارა! (*და თითს თვალთან უტრიალებს*) ეს თქვენ ხართ ქუჩაში და ეთერში, მე კი სანგარში ვწევარ, თან გაურკვეველი მიმართულებით ვისვრი (*ჭიშკართან ნახევრად წამოწვება, სიგარეტს მოუკიდებს და ჩურჩულით განაგრძობს*). ხალხმა ბოლოს და ბოლოს გაიღვიძა და საკრებულოს ომი გამოუცხადა. ყოველ ექვს საათზე, როცა ტყვიების ზუზუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი რამდენიმე წუთით წყდება, ჯარისკაცებს ლილი მარლენის სიმღერას გვასმენინებენ. (*და ირთვება ლილი მარლენის ცნობილი სიმღერა*). რატომ ლილი მარლენის? ჩვენებს ჯერ არ დაუწერიათ ისეთი სიმღერა, ჯარისკაცებს ომში მალამოსავით რომ მოეფინება. ვერც ქალის ხმა აარჩიეს ჯერ. ერთი მოიყვანეს ცოცხალი შესრულებით, მაგრამ სიმღერის ნაცვლად ჩურჩულებდა, რამდენიმე ბიჭი კი მის ჩურჩულს ხმამაღლა ლექსად იმეორებდა მარცვალ-მარცვალ. ხუთი წუთი ვუსტვინეთ. სულ გაგიჟდა ეს ხალხი-მეთქი, ხომ გეუბნებოდით. დანარჩენი მომღერლებიც გაიპარ-გამოიპარნენ. და რის შემდეგ, თუ იცით? მაგათი პროდიუსერი გამოვიდა და ხმამაღლა თქვა: სანამ მოვკვდებოდე და სანამ მღვდელიც აქ არის, ცოდვა უნდა მოვინანიოო. ვისაც ესტრადის ვარსკვლავობა უნდოდა, ფულს ვართმევდიო. ყრუებს ორჯერ მეტსო, მაგრამ მაინც ვამღერებდი ან, ბოლოს და ბოლოს, ვალაპარაკებდიო. ჰოდა, ჩემი ბრალია ეს თქვენი დღევანდელი ტანჯვა და შემინდეთო. მერე, როცა ვარსკვლავები თავიანთ ინსტრუმენტებიანად გაიცურცლნენ, სამარისებული სიჩუმე ჩამოდგა. ჩუუუ... (*თითს ტუჩებთან იდებს და ამათაც აჩუმებს*). ზოგჯერ ისეთი კრაგი მოსასმენია სიჩუმე. თითქოს თავისით მღერის. რაღაც ამ ბოლო დროს ნოსტალგია შემომეპარა. ბავშვობა გამახსენდა. რა არის, ხომ არ ვკვდები, ნეტავი? სიკვდილის მოახლოებამ იცის ბავშვობის გახსენება. ერთი ფოტოსურათი აგერ მიდევს, სულ თან დამაქვს უბის წიგნაკით. (*უბეში იჩიჩქნება და რაღაცას ეძებს, მერე სურათს ამოიღებს და სიამაყით დასცქერის*). აქ სამი წლისა ვარ. ო, ხასიათი ჩანს უკვე. ეს მამაჩემია, ხელში ავუყვანივარ და მესიასავით მიყურებს. სახეზე აწერია, რასაც მეუბნება (*წამოხტება და ხელებს მაღლა ასწევს, თითქოს ბავშვი უჭირავსო ხელში*): აბა, შენი იმედი მაქვს, ჩემი კუტუნია ბიჭიო. ხომ გავუმართლე, ჰა, მაგარი ბიჭი დავდექი. ქვეყანს ვერ მოვუარე. დავაქციე. ჰო, ჩემი ბრალია, ჩემი. და ჩემნაირი კუტუნია ბიჭების. მაგათ ვენაცვალე! ზოგი ახლა სხდომის დარბაზის ფანჯრიდან იყურება ჭუჭრუტანაში, თოფი მოუმარჯვებია, თავის ქალა რომ ამხადოს. ნეტავი, შეძლებს? ან მე შევძლებ, მერაბას ბიძაშვილს ტყვია ვესროლო და სასიკვდილოდ გავიმეტო? არ ვიცი, არ ვიცი. ისე, ხუთი დღეა, ომი დავიწყეთ და ჯერ არავინ მომკვდარა, არც იქით, არც აქეთ. მგონი ერთმანეთს აშინებენ. ვერ იმეტებენ. ისვრიან, მაგრამ სხვა მიმართულებით. ისე, ხმაური რომ ატეხონ, ბათქაბუთქი. აბა, რა?! ძმები ვართ, ბოლოს და ბოლოს... არა, არა, გულის აჩვილება არ შეიძლება. ჩვენ ძმები ვეძახოთ, იმათ კიდევ კუკლიები... უუჰ... (*თითქოს ეშლება და შეცდომას გამოასწორებს*) მარიონეტები. აბა, ახლა გააღეთ პირი, ჭამეთ, ახლა დამუწეთ, საჭმელი არ არისო. ახლა შუქს ჩაგიქრობთ და ყველამ დაიძინეთო, როცა აგინთებთ - გამოიღვიძეთო. ისე, გამოღვიძებასაც არ გირჩევთო, კარგს მაინც ვერაფერს ნახავთო. ეს ყველაფერი კი ჩვენ მოგიწყვეთო. დიდი რამე, თქვენსავით ტალანტი თუ არ გვაქვსო, მაგის ფულით ყიდვაც შეიძლებაო, მაგრამ რაში გვჭირდებაო. ჩვენ უფრო კარგი ტალანტი აღმოგვაჩნდაო - რაც არ გვინდა - არ გვესმის, რასაც არ გვინდა - არ ვხედავთო. სახლებსაც ავაშენებთ, გალავნებსაც და ერთმანეთშიც გვირაბებით გადავალთ-გადმოვალთო. თქვენ კი ჯარისკაცებივით უნდა იყოთო. ჩვენ დანახვაზე ფეხზე უნდა წამოხტეთ და ქუდები მოიხადოთო, ოღონდ ჩემზე მაღლები ცოტა მუხლებშიც მოიხარეთ, რომ ზემოდან მე გიყუროთ და არა თქვენო.

ახია ჩვენზე. ცოტა ხანში ცელოფნებსაც შემოგვაკრავენ და „სადიას“ ქათმებივით არაბულ ქვეყნებში გაგვყიდიან.

(*და თვალებში აშტერდება კორესპონდენტს, რომელსაც სახეზე ეტყობა, რომ ქათამი, ნამდვილად არ სურს, იყოს. ამ დროს ოპერატორი ისევ ანიშნებს შემომავალი ზარის შესახებ და კორესპონდენტი, რომელიც აქამდე სკამზეა მისვენებული, სასწრაფოდ დგება და მიკროფონით გიმრის გვერდით დგება*).

კორესპონდენტი: - უკაცრავად, შეგაწყვეტინებთ, მაყურებელია ხაზზე... დიახ, დიახ, თქვენ ეთერში ხართ (*ზემოთ იხედება*), გისმენთ.

ხმა: - მე მოქალაქეს, მინდა, გავესაუბრო.

კორესპონდენტი:- რა თქმა უნდა, თქვენ სწორედ ამისთვის ხართ ეთერში.

ხმა: - მიცანი, ძვირფასო? (*გმირი შეცბება და თითქოს რაღაცას იხსენებს*) ვერ მიცანი? თუმცა როგორ მიცნობ?! ჩვენ ხომ, ათი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს. არადა, როგორ გიყვარდი... აააა, მიცანი, არა? ჰო, თამუნია ვარ...

გმირი: (*ნოსტალგიურად*) - ეხ, თამუნია, თამუნია...

ხმა: - სჯობდა, მართლა მდინარეს წაეღო ჩემი ჩალის ქუდი მაშინ, როცა მიყვარდი, სჯობდა, მართლაც შენგან ნასროლი იების კონა დასცემოდა ციდან ჩემ საფლავს... სჯობდა, მართლაც შერეკილის სატრფო მრქმეოდა, ვიდრე... ახლი ქართველის ცოლი. არავითარი შემოქმედება, არავითარი რომანტიკა. რა არის ჩემი ცხოვრება? - დილით ლოგინში ყავა, ბავშვები ძიძასთან, შუადღით შოფინგი, საღამოს - შეიპინგი, ღამით (*პაუზა. ამ დროს გმირი ხვდება, რაშიც არის საქმე, მოძრაობას აკეთებს*). დილით ისევ ყავა ლოგინში, ბავშვები ბიძასთან, შუადღით შოფინგი, საღამოს-შეიპინგი. (*და გმირი მრავალმნიშვნელოვნდ ისევ იმ მოძრაობას აკეთებს*). ზამთარში - ალპები, ზაფხულში -კანარები. დავიღალე. იცი, როგორ დავიღალე ამ ერთფეროვნებისაგან. სად არის სიყვარული? რა მოწყენილობაა ირგვლივ?

გმირი: - უკაცრავად, მე რატომ მირეკავ, თამუნიას შემოვევლე? აი, მე რა შუაში ვარ ყველაფერი იმ შენ, როგორ გითხრა, გადადღლეზილ, დეკოლტე, აბრეშუმისხალათებიან, მაქმანებიან, პალიროვკიან ცხოვრებასთან? რა გინდა ჩემგან, გენაცვალე?

ხმა: - იცი, მე განა სექსი მინდა...

გმირი: - კაი, კაცო.

ხმა: - არა, შენ ვერ გამიგე. მე სულიერი მეგობარი მჭირდება, რომელთან ერთად შევძლებ მაღალ მატერიებზე საუბარს.

გმირი: - თამუნას ვენაცვალე, შენ, მატერიები, თუ იცი, რა არის? შემთხვევით მატერია შიფონის ან კრეპდიშინის ნაჭერი ხომ არ გგონია, აგერ, ყოფილი „ლუქსის“ მაღაზიაში რომ იყიდება?

ხმა: - მე ვიცი, რაც არის მატერიები.

გმირი: - მატერიებზე მაგ ღრუბლებიდან ვერ ილაპარაკებ, ლამაზო. ჩამოდი დაბლა, აგერ, აქ, დამიდექი გვერდით, ყლაპე ჩემთან ერთად მტვერი და ბუსუსები, გაიხვითქე ოფლში, რავაც ახლა მე ვიხვითქები, ამ საღამოს აიღე სპექტაკლის მერე ორი კაპიკი და აქვე დაამღერე კაფეში ლუდში და ხაჭაპურებში. წადი მერე სახლში და დილიდან მეზობლებში სიგარეტი იმათხოვრე, სადარბაზოში სამი კვირის გაუტანელი ნაგავი ყნოსე, ბინძურ კიბეებზე ვირთხები იცილე, თავზე რომ არ დაგახტნენ, მე მაგათი ნაგლი დედა ვატირე, და ინკასატორს ეღრიჯე კიდევ, გაჩერებული მრიცხველისათვის ჯარიმა არ აგკიდოს.

მერე აქეთ მომავალმა დამშეულ ქუჩის ბავშვებს უკანასკნელი კაპიკები მიეცი და ამ სცენაზე თავიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყე ყველაფერი. ამას რომ გააკეთებ რამდენიმე წლის განმავლობაში, მერე დავსხდეთ მე და შენ, გადავხვიოთ ერთმანეთს მხარზე ხელი, სექსის თავი მაინც არც ერთს არ გვექნება და ვისაუბროთ მაღალ მატერიებზე. თანახმა ხარ?

ხმა: - შენ რა, ხუმრობ?

გმირი: - კარგად იყავი, თამუნიას შემოვევლე, და მიხედე ისევ მაგ შენ აბრეშუმ-შიფონ-კრებდიშინიან ცხოვრებას და ზოგჯერ წინ გაიხედე ხოლმე, კოჭი არ გეღრძოს შოპინგზე სიარულისას.

(ისმის ყურმილის დაგდების ხმა და ტუ... ტუ... ტუ... ტუ...)

გმირი: *(კმაყოფილი სახით)* - სექსი არ უნდა! *(დანარჩენი სამნი, უკვე შეგუებულნი ჩაფლავებულ ეთერს და სამსახურიდან მოხსნას, ხელს ჩაიქნევენ)* არ უნდა კი არა, თვითონაც არ იცის, ისე უნდა, ქვეცნობიერად. უბრალოდ, მატერიას სექსისგან ვერ არჩევს. ეს არის და ეს. ერთი ვეტერინარი ძმაკაცი მყავს და იჩემებს, ზუსტად ვხვდები, ქალს სექსი როდის უნდა და როდის არაო. ისე, ვეტერინარებს საიდან ქალებთან ამდენი გამოცდილება - მიკვირს. მერე ვიღაცამ რომ უთხრა, ჯერ შენ სექსუალურად დაუკმაყოფილებელ ცხოვრებას მიხედე, შე ქლიავოო, ااااااااااო, - წამოიძახა, - სწორედ რომ შენ განიცდი ახლა სექსის უკმარისობასო და, სანამ ბოლოს და ბოლოს არ მოხვდა თავში ბასრი ნივთი, არ მოისვენა.

სანგარში რა გინდაო, თამუნიამ ეს კი არ მკითხა... იქნებ ვუთხრა და გაიგოს რამე. ვეტყვი მიანც, ვცდი, თუ მიყურებს ჯერ კიდევ:

(და აქეთ-იქით იცქირება, თითქოს სივრცეში ეძებს რაღაცასო).

გმირი: - იცი რა, თამუნია. რომ აეხილებათ იმ შენ ძიძასთან გაზრდილ შვილებს თვალები, ჩემ აწი გასაჩენებს და სხვის უკვე გაჩენილებს თვალი და ყური და რომ აღარ მოუნდებათ ჩემი, თამუნიასი და მისი დეგენერატი ქმრის აშენებული ქვეყანა და რომ მეტყვიან, სად იყავი, ბიძია, მაშინ, რას აკეთებდი შენი უბედური ქვეყნისათვისო, რა ვუთხრა - თამუნიასთან ვკოტრიალობდი ლოგინში-თქვა? თუ მერაბას თავგასიებული ბიძაშვილივით ფულებს ვპარავდი ხალხს, თქვენთვის კუკლიები რომ მეყიდა-თქო? ხომ უნდა ვუთხრა: აგერ ვეგდე თხრილში სუფთა სინდისით და შენი მომავლისთვის ვიბრძოდი-თქო. კი, ასე, თუ არ მესროლეს ახლა და არ გამაგორეს კვახივით (მიიხედ-მოიხედავს).

მე მგონი, მართლა, არ ისვრიან, ხომ იცი. ისე, რატომ უნდა მესროლონ? რა საძაგლობაა ყველაფერი ეს. სხვა თუ არაფერი, სირცხვილია. ხალხი გვიყურებს. ღმერთი გვიყურებს. მე, პირადად, არაფერი გამაჩნია, რა უნდა შევთავაზო. ყველამ ყველაფერი უკვე წაიღო. ჩემ ეზოში გაზრდილმა ძმაკაცმა ტელეფონი დამაწერა. ეს მაგას ჰგონია, რომ დამაწერა, მე კიდევ - ვაჩუქე. რა ვიცი, შემეცოდა. კაცი იქამდე რომ მიხვალ, რომ მეგობართან ამ საქმეს იკადრებ, საცოდავია, აბა რა. ღირსება ხომ არა აქვს ყველას! ისე, მითხრეს, არ უნდა მიგეცაო, ასე იციანო, ჯერ ტელფონიო, მერე უბანიო, მერე ტერიტორიაო. ეეე... ეგრე სად არის, ნინიას ბაღია?! ა, ძმაო, ფეხსაცმელი გინდა? - წაიღე, პერანგი?.. - აჰა, ჩაიცვი, გათბი. გინდა, ქურთი იყავი, გინდა, თათარი, გული მაქვს კეთილი და კიდევ, აი, სიყვარული მაქვს, ყველაფრის სიყვარული. ეს ყველაფერი მიყვარს, გაიგეთ? მეტი არაფერი გამაჩნია. ეს ცარიელი კედლები და აი, კიდევ *(ამ დროს შარვლის ჯიბეში დაიწყო რაღაცის ძებნა)*: აგერ, ჯიბეში ჩემი ცოლის ქორწინების ბეჭედი მიდევს. ამაზე ძვირფასი არაფერი მაქვს. სოხუმში მშობლებთან იყო, ომის დროს სვანეთიდან ფეხით გადმოსულან. გზაში გაყინულა და იქვე დაუმარხავთ. ეს საცოდავმა დედამისმა ჩამომიტანა და მეორე დღეს გარდაიცვალა კიდეც. აგერ, ავიღებ ამ ქორწინების ბეჭედს, ამოვალ სანგრიდან, უიარაღოდ ამოვალ. ცალ ხელში ბეჭედს დავიჭერ, მეორეს მაღლა ავწევ, წავალ, არ გავჩერდები, მომკლავენ - მომკლან, არადა, ხმამაღლა მაინც დავიძახებ: არ მესროლოთ, ძმებო!

(ფარდა)